



## მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე (RFA)

**No. 045-3002E-001-S-2018**

გამოქვეყნების თარიღი: **2018 წლის 2 მარტი**  
აპლიკანტების საყურადღებოდ: : **2018 წლის 2 აპრილი, 18:00 სთ**

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი *ზრდა საქართველოში*, რომელსაც ახორციელებს Chemonics International, აცხადებს საგრანტო კონკურსს **სათავგადასავლო, სოფლის, ეკო, გასტრონომიულ და კულტურულ ტურიზმში** ჩართული მეწარმეებისათვის, ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შექმნა-გაფართოვების ხელშეწყობის მიზნით. საგრანტო პროექტის ჯამური თანხა შეადგენს 375 000 ლარს. გრანტების გაცემა განხორციელდება პროექტ ზრდას გრანტების მართვის შინაგანაწესის, ასევე USAID-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო რეგულაციების შესაბამისად. **თითოეული გრანტისათვის** გათვალისწინებული თანხის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს **24 000 ლარს**.

აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებით არსებულ შეკითხვებზე პასუხის მისაღებად ზრდა გამართავს საინფორმაციო შეხვედრებს პოტენციურ აპლიკანტებთან, შემდეგი განრიგის მიხედვით:

**2018 წლის 14 მარტი, რ. ლალიძის ქუჩა #3, ზუგდიდი (საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი “აფხაზეთის” ოფისი) , 11:00 სთ**

**2018 წლის 15 მარტი, რუსთაველის ქუჩა #107ა, ბორჯომი (სასტუმრო ‘ბორჯომის ხეობა’) , 11:00 სთ**

**2018 წლის 15 მარტი, გვარამიძის ქუჩა #21, ახალციხე (ზრდა პროექტის ოფისი), 16:00 სთ**

**2018 წლის 19 მარტი, ლესელიძის ქუჩა #36, ახმეტა (ზრდა პროექტის ოფისი), 13:00 სთ**

ზემოთ ხსენებულ შეხვედრებზე, დაინტერესებულ აპლიკანტებს საშუალება ექნებათ მიიღონ პასუხები კითხვებზე, მათ შორის მითითებები აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე დასასწრებად აპლიკანტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge), არა უგვიანეს **2018 წლის 13 მარტისა**. რეგისტრაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დასწრების მსურველი ორგანიზაციის/ინდივიდუალური საწარმოს სახელსა და იმ პიროვნების ვინაობას, ვინც დაესწრება საინფორმაციო შეხვედრას. რეგისტრაციის გავლისას, გთხოვთ შეგვატყობინოთ თუ საჭიროებთ რაიმე განსაკუთრებულ პირობებს შეხვედრის ადგილზე მოსასვლელად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზრდა არ აანაზღაურებს საინფორმაციო შეხვედრაზე დასასწრებად გაწეულ ხარჯებს.

გარდა საინფორმაციო შეხვედრებისა, პოტენციურ აპლიკანტებს შეუძლიათ შეკითხვები გამოაგზავნონ წერილობითი სახით, ელექტრონულ ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge), არაუგვიანეს **2018 წლის 20 მარტისა, 18:00 სთ**. ზრდა უპასუხებს ყველა რელევანტურ შეკითხვას და პასუხებს გამოაქვეყნებს როგორც პროექტის ფეისბუქის გვერდზე, ასევე ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.zrda.ge](http://www.zrda.ge), **2018 წლის 23 მარტისა**. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არ მოხდება კითხვებზე პასუხების ინდივიდუალურად გაცემა/გაგზავნა.



ზრდა პროექტის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ, ხოლო აპლიკანტებს ეკრძალებათ შესთავაზონ მათ ფული, საკომისიო, გასამრჯელო, წილი, საჩუქარი, ფულადი საჩუქარი, ღირებული ნივთი ან კომპენსაცია იმის სანაცვლოდ, რომ დაუმსახურებლად მოიპოვონ ან მიიღონ ხელსაყრელი

პირობები აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. პროექტის თანამშრომლისგან ნებისმიერი შეუფერებელი მოთხოვნის შესახებ უნდა ეცნობოს პროექტის ხელმძღვანელს ან გაიგზავნოს შეტყობინება, ელექტრონულ ფოსტაზე [BusinessConduct@chemonics.com](mailto:BusinessConduct@chemonics.com).

ქვემოთ მოცემულია დოკუმენტების სია, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე მოთხოვნის დანართებს. **დანართები A, B და C** წარმოადგენილ უნდა იქნენ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად:

- **დანართი A** - განაცხადის ფორმა;
- **დანართი B** – აპლიკანტის თვიშეფასების ფორმა;
- **დანართი C** - მოთხოვნილი მოწმობები;
- **დანართი D** - ზრდა პროექტის სამიზნე თემების ჩამონათვალი.

A, B და C დანართებთან ერთად აპლიკანტებმა ასევე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- აპლიკანტის მოქმედი რეგისტრაციის დოკუმენტის ასლი
- აუდიტის მიერ შემოწმებული უახლესი ფინანსური ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## ნაწილი I. პროგრამის აღწერილობა

### IA. მიზანი

სოფლის (იგივე, ტურისტული საქმიანობები, რომლებიც ხორციელდება სოფლად და მოიცავს აგრო, ეკო, გასტრონომიულ, ღვინის და/ან ეთნო-კულტურულ ტურიზმს) და სათავგადასავლო ტურიზმის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროს გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში დღითიდღე იზრდება. მიიჩნევა, რომ ტურიზმის ამ დარგების განვითარება საუკეთესო გამოსავალია მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაციის და ამ მოვლენით გამოწვეული ეკონომიკური უკუსვლის შესაჩერებლად. ამასთანავე სოფლის და სათავგადასავლო ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებას. სოფლის/აგრო ტურიზმი არასასოფლო საქმიანობის დივერსიფიკაციის საშუალებას იძლევა, რაც სოფლად მცხოვრები შინა მეურნეობებისთვის შესაძლოა დამატებითი ან ახალი შემოსავლის წყარო გახდეს.

სოფლის/აგრო ტურიზმი ბაზარზე ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა, რომელიც ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს მზარდ ქართულ ბაზარზეც. სათავგადასავლო ტურიზმი ტურისტებს სოფლის გარემოში სხვადასხვა გამოცდილების მიღების შესაძლებლობებსაც სთავაზობს და ამდენად, ორივე მიმართულება საერთო ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ. საქართველოში სოფლის და სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალი და რესურსების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის მოთხოვნადი პროდუქტებისა და მომსახურებების ფართო არჩევნის განვითარებისთვის. სოფლის ტურიზმის პოპულარიზაციის, ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტების შექმნის, სოფლად შინა მეურნეობების და ფერმერებისთვის არასასოფლო შემოსავლების ზრდის მიზნით, პროექტი იწყებს განაცხადების მიღებას სამიზნე



მუნიციპალიტეტებში მოღვაწე სოფლის/აგრო და სათავგადასავლო ტურიზმში ჩართული სუბიექტებისთვის.

USAID ზრდა პროექტი გასცემს გრანტს ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციასა და/ან მეწარმეზე, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. განაცხადების გამოგზავნა შეუძლიათ კომერციულ, კერძო და არასამთავრობო/არამომგებიანი ორგანიზაციებს. ასევე, ასოციაციებს, რომელთაც სურთ ახალი, კონკურენტუნარიანი და კომერციულად მომგებიანი პროდუქტებისა და სერვისების შექმნა, რაც პროექტის სამიზნე რეგიონებში ახალ სამუშაო ადგილებსა და შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებს შექმნის.

**IB. მოკლე ინფორმაცია**

ზრდა პროექტი არის USAID-ის მიერ დაფინანსებული 5-წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს Chemonics International. პროექტის მიზანია ცხოვრების დონის ამაღლება სამიზნე თემებში და ადგილობრივი სუბიექტების - მოწყვლადი ოჯახებისა თუ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) კვალიფიკაციის, პროდუქტიულობისა და ქსელების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ წვლილის შეტანა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ წინსვლაში. ზრდა პროექტი ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) ზრდა-განვითარებას, გაზრდის სოფლის მეურნეობების შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობებს და წახალისებს მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის საბაზრო კავშირების დამყარებას საბაზრო ეკონომიკის გაძლიერების მიზნით. შედეგად, ზრდა გაზრდის შემოსავლებს როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ისე საოჯახო მეურნეობებისთვის, შექმნის სამუშაო ადგილებს და აამაღლებს ცხოვრების დონეს სამიზნე თემებში.

**IC. პროგრამის დეტალური აღწერილობა**

პროექტი Zrda მხარდაჭერას სთავაზობს ინოვაციური იდეების მქონე როგორც მცირე და საშუალო საწარმოებსა და სხვა რელევანტურ, შემოსავალზე ორიენტირებულ ტურისტულ ორგანიზაციებს (არასამთავრობო, ასოციაციები, და ა.შ), ისე ცალკეულ მეწარმეებსაც. მხარდაჭერის მიზანია სოფლისა და/ან სათავგადასავლო ტურიზმის ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნა და რეალიზაცია ან უკვე არსებული პროდუქტების/მომსახურებების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმში ჩართულ სუბიექტებს მიეცემა შესაძლებლობა მოიხილონ ტურისტები დამატებითი რაოდენობით, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე მის საზღვრებს გარედან. მიმზიდველი და მრავალფეროვანი პროდუქტის/სერვისის შეთავაზებით გაიზრდება მეწარმეთა გაყიდვები, შემოსავლები და დასაქმების შესაძლებლობები პროექტის სამიზნე რეგიონებში.

საგრანტო პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის და სათავგადასავლო ტურიზმის ფარგლებში ისეთი ინდივიდუალური, სტუმარზე მორგებული სერვისების შექმნას, რომლებიც ვიზიტორს საშუალებას მისცემს ახლოს გაეცნოს სოფლის გარემოს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ადგილობრივი მაცხოვრებლების ყოფასა და წეს-ჩვეულებებს; აქტიურად ჩაერთოს პროდუქტის/სერვისის წარმოებისა და სხვა სამოყვარულო თუ პროფესიონალურ გასართობ აქტივობებში.

ამ მოთხოვნის ფარგლებში, აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ პროექტები შემდეგი კატეგორიების შესაბამისად:



- ✓ **სასოფლო/აგრო და სათავგადასავლო საცალო გაყიდვებისა და გაქირავების ბიზნესი** (მაგ, გაქირავების პუნქტი).
- ✓ **სასოფლო/აგრო და სათავგადასავლო გართობა/მომსახურება** (მაგ, ადგილობრივ/ტრადიციულ საწარმოო პროცესზე დაკვირვება და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის მიღება (კერძები, ღვინო, ხელნაკეთი ნივთები, და ა.შ), მეთევზეობა და გარე წვეულებები/სადილი ბუნებაში, სტუმარზე მორგებული და ფერმაზე დაფუძნებული აქტივობები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს მსხვილფეხა საქონელთან დაკავშირებულ აქტივობებს (შეკრეჭა, მოწველა), ფერმაში მუშაობა, ხეხილისა და ბოსტნეულის კრეფა (პირადი მოხმარებისთვის), ჯომარდობა, ლაშქრობა კარვებით,
- ✓ **სოფლის ეთნოგრაფია/კულტურაზე ორიენტირებული აქტივობები** (სუვენირების დამზადება, ხალხური ხელოვნების წარმოდგენები, ადგილობრივი და ისტორიული ძეგლების მუზეუმები),
- ✓ **გასტრონომია და მეღვინეობასთან დაკავშირებული აქტივობები**, რომლებიც ტურისტს ადგილობრივ, უნიკალურ სამზარეულოსთან და ღვინის კულტურასთან დაახლოების შესაძლებლობას აძლევს.
- ✓ **სხვა და/ან მსგავსი შინაარსის აქტივობები**, რომლებიც ცალსახად არ კლასიფიცირდება ზემოხსენებულ კატეგორიებში, განიხილება, თუ აპლიკანტი მათს რელევანტურობას დაასაბუთებს.

**შენიშვნა:** კონკურსი არ ითვალისწინებს ისეთი პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც უშუალოდ განთავსების ობიექტების განვითარებას უკავშირდება, როგორცაა საოჯახო ტიპის სასტუმროს ან მცირე ზომის სასტუმროს ამოქმედება/გაფართოება. შესაბამისად მსგავსი შინაარსის განაცხადები არ იქნება განხილული.

კონკურსით დასაშვები ხარჯები მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება, შემდეგით:

- ✓ ციფრული და ბეჭდური მარკეტინგული მასალები არსებული ან ახალი პროდუქტის/სერვისების, მათ შორის ვებ-გვერდის შექმნა და სხვა მსგავსი.
- ✓ სპეციალური დანიშნულების აღჭურვილობა ამა თუ იმ ტურისტული ნაწარმის ან ხელნაკეთი ნივთების საწარმოებლად.
- ✓ ავეჯი და დეკორაცია არა სასტუმრო ბიზნესისთვის (რესტორანი, ღვინის მარნები, ლუდ-სახარშები, და სხვა).
- ✓ სპორტული საქონელი ( კარვები, ზურგჩანთები, ნაგები, და ჯომარდობის აღჭურვილობა, ველოსიპედები, სამოსი, ჩაფხუტები, უსაფრთხოების აღჭურვილობა, და ა.შ).
- ✓ კომპიუტერები ან მსგავსი ტიპის ტექნიკა, რომელიც ბიზნესის უკეთ წარმართვას შეუწყობს ხელს.
- ✓ გენერატორები, მზის პანელები და ელექტროენერჯის გამომმუშავებელი სხვა მცირე ზომის სისტემები.
- ✓ აღჭურვილობა რესტორნებისა და კვების ობიექტებისათვის
- ✓ მასალები და ან/აღჭურვილობა ნაწარმის შესაფუთად.
- ✓ პერსონალის გადამზადება და მათი კვალიფიკაციის განვითარების ხელშეწყობა.

საგრანტო აქტივობის ფარგლებში, გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტს Zrda წარუდგინოს შემდეგი მასალები:

- ✓ დეტალურად გაწერილი განხორციელების გეგმა, მათ შორის შესაქმნელი/დასახვეწი/გასაუმჯობესებელი პროდუქტის/სერვისების აღწერილობა, პროდუქტის/მომსახურების მიწოდებაზე გათვლილი სავარაუდო ფიქსირებული და



ცვალებადი ხარჯები, რენტაბელობის პროგნოზი ( 1-დან 3 წლამდე), მოსალოდნელი ახალი სამუშაო მოთხოვნები, პროექტის ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა, მეთოდოლოგია და მთლიანი ბიუჯეტი.

- ✓ იმ მასალების, ინტელექტუალური საკუთრების, პროგრამული უზრუნველყოფის, მომსახურებებისა და/ან აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთა შესყიდვასაც გეგმავთ – შენიშვნა: აპლიკანტმა უნდა მიუთითოს, შესაძლებელია თუ არა მომსახურებების/აღჭურვილობის შეძენა საქართველოში; აღჭურვილობის გამოწერისა და მისი საქართველოში ჩამოტანის საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მოიძიოს და მიუთითოს სასურველი მომწოდებლები მხოლოდ აშშ-დან, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა აშშ-ში შესაბამისი პროდუქტი/მომსახურება არ იწარმოება.
- ✓ დეტალურად შედგენილი მარკეტინგის სტრატეგია და მდგრადი განვითარების გეგმა. დოკუმენტები უნდა ასახავდეს პროდუქტის/მომსახურების პოპულარიზების მიმართულებით დაგეგმილ ნაბიჯებს სამიზნე აუდიტორიის მოსაზიდად და აღწერილი პროდუქტის/მომსახურების კომერციული სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

გრანტის მიმღებმა ზემოხსენებული მასალები უნდა წარადგინოს პროექტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

**ხანგრძლივობა და მნიშვნელოვანი თარიღები:** ზრდა პროექტის ვარაუდით, წარმატებული აპლიკანტების შერჩევა და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება დასრულდება 2018 წლის 15 აპრილიდან ამავე წლის 15 მაისამდე. გრანტების განხორციელება მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაიზრდება საგრანტო პერიოდი 9 თვემდე. აპლიკანტმა განაცხადში უნდა დაასაბუთოს გადავადების საჭიროება.

**ბიუჯეტი:** აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ მთლიან პროექტზე გათვალისწინებული დეტალური ბიუჯეტი, მათ შორის ადმინისტრაციული და ტრენინგისთვის აუცილებელი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) აღჭურვილობის შესყიდვაზე გაწეული ხარჯები. პროექტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა არ გადააჭარბებს მთლიანი ბიუჯეტის 65%-ს. თითოეული გრანტისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს მაქსიმუმ 24 000 ლარს. Zrda-ს მიერ ამ გრანტზე გამოყოფილი დაფინანსების მთლიანი მოცულობაა 375 000 ლარი. შესაძლოა, დაფინანსდეს ისეთი პროექტები, რომ სრულად დაიხარჯოს გამოყოფილი თანხა. თუმცა ზრდა პროექტი არ არის ვალდებული გასცეს დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის მთლიანი მოცულობა და შერჩეული პროექტების როგორც რიცხვი, ისე ღირებულება მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოგროვდება განაცხადების

საკმარისი რაოდენობა ან არ დაიხარჯება დაფინანსების სრული მოცულობა, ზრდა პროექტმა შესაძლოა ხელახლა გამოაცხადოს მოთხოვნა განაცხადების მიღებაზე ან გადაწიოს განაცხადების წარდგენის ვადა.

**აპლიკანტის თანამონაწილეობა:** ყველა აპლიკანტი ვალდებულია გასწიოს ფულადი კონტრიბუცია, მთლიანი საგრანტო ბიუჯეტის სულ მცირე 35%-ისა. ბიუჯეტში გარკვევით და დეტალურად უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი ხარჯების დაფარვას ითხოვს აპლიკანტი Zrda-ს გრანტით და რომელ ხარჯს ანაზღაურებს თავად. აპლიკანტის ფინანსური კონტრიბუცია უნდა დასტურდებოდეს ზედნადებითა და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც შესაძლოა მოითხოვოს Zrda-მ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, Zrda-ს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, ფინანსური კონტრიბუციის გაწევა უნდა მოხდეს შერჩეული აპლიკანტ(ებ)ის მიერ.



## **ID. ნორმატიული / მარეგულირებელი რეგლამენტები**

ზრდა პროექტის გრანტები ეფუძნება აშშ საგარეო საქმეთა შესახებ კანონისა და USAID-ის წინასწარი დირექტივების სისტემას (ADS). ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ [ADS თავი 303](#), საფუძველზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო, „გრანტები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“ და დაექვემდებარონ USAID [სტანდარტული დებულებები აშშ არასამთავრობო მიმღებებისთვის](#), ასევე ზრდას გრანტების გაცემის შიდა პროცედურებს.

ADS 303 მიუთითებს დამატებით მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც გამოსცა აშშ-ის მთავრობის მენეჯმენტის და ბიუჯეტის განყოფილებამ (OMB) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ:

- 2 CFR 200 [ერთიანი ადმინისტრაციული მოთხოვნები. თვითღირებულების პრინციპები. და აუდიტური მოთხოვნები ფედერალური კონტრაქტებისთვის. ქვე-ნაწილი E](#) (აშშ აპლიკანტები მთლიანად ექვემდებარებიან 2 CFR 200)

CFR 200 სრული ტექსტში იხილეთ: [http://www.ecfr.gov/cgi-bin/textidx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200\\_main\\_02.tpl](http://www.ecfr.gov/cgi-bin/textidx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200_main_02.tpl)

ზრდა პროექტმა უნდა უზრუნველყოს, რომ USAID-ის საგრანტო სახსრების მიმღები ყველა ორგანიზაცია დაიცავს ზემოთ მითითებულ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება მათი გრანტების პირობებსა და დებულებებზე.

USAID იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს, ზრდა პროექტის უფლებამოსილება გრანტების გაცემის ნაწილში.

## **ნაწილი II. ინფორმაცია საგრანტო ხელშეკრულების შესახებ**

Zrda გეგმავს სულ მცირე, 15 გრანტის გაცემას, რომელთა მთლიანი მოცულობა 375 000 ლარს შეადგენს. პროექტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა არ გადააჭარბებს მთლიანი ბიუჯეტის 65%-ს. თითოეული გრანტისთვის გათვალისწინებულია მაქსიმუმ **24 000 ლარის** გაცემა. Zrda-ს მიერ პროექტების დაფინანსება მოხდება, ამ კონკრეტული აქტივობისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში. თუმცა Zrda არ არის ვალდებული გასცეს დაფინანსებისთვის გამოყოფილი მთლიანი თანხა და იტოვებს უფლებას, შერჩეული პროექტების როგორც რიცხვი, ისე ღირებულება თვითონ დაადგინოს. იმ შემთხვევაში, თუ Zrda ვერ მიიღებს განაცხადების საკმარის რაოდენობას ან არ დაიხარჯება თანხის სრული მოცულობა, Zrda-მ შესაძლოა ხელახლა გამოაცხადოს მოთხოვნა განაცხადების მიღებაზე ან გადაწიოს განაცხადების წარდგენის ვადა.

საგრანტო პერიოდი გათვლილია არა უმეტეს 6 თვისა. გრანტის შერჩევისა და გაცემის სავარაუდო თარიღი არის 2018 წლის 15 აპრილი-15 მაისი.

*საგრანტო ხელშეკრულების ტიპი განისაზღვრება მოლაპარაკებების პროცესში.*



### ნაწილი III. კონკურსზე დასაშვებ აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები

#### III.A. კონკურსზე დასაშვებად:

- კომპანია უნდა მოქმედებდეს „უწყვეტობის პრინციპის“ მიხედვით. სხვა სიტყვებით, პროექტი/საქმიანობა/ორგანიზაცია დარეგისტრირებული უნდა იყოს შესაბამის ქართულ უწყებაში სულ მცირე 1 წლით. კერძო, მოგებაზე ორიენტირებული კომპანია 51%-ით ქართულ მფლობელობასა და დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდეს.
- განაცხადის შემოტანა შეუძლიათ ე.წ. „სტარტაპებსაც“ (დამწყები, ახალგაზრდა კომპანიები). მათ ნათლად უნდა წარმოაჩინონ, რომ ფლობენ წარმატებული, კომერციულად მომგებიანი პროდუქტის/სერვისის წარმოებისთვის აუცილებელ უნიკალურ მახასიათებლებს. „სტარტაპები“ უნდა აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნის ყველა კრიტერიუმს. კომპანია 51%-ით ქართულ მფლობელობასა და დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდეს.
- აპლიკანტი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს საქართველოში, ტურიზმისა და მასპინძლობის დარგში გავრცელებულ ტენდენციებს, განსაკუთრებით კი, სათავგადასავლო და სოფლის/აგრო ტურიზმის კუთხით იმ რეგიონში, სადაც თავად საქმიანობს.
- პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა სათავგადასავლო და სოფლის/აგრო ტურიზმის დარგში, კერძოდ, პროდუქტის შექმნის, გუნდის მართვისა და მასპინძლობის მომსახურების კუთხით.
- კარგი რეკომენდაციები (კლიენტებისგან, მომწოდებლებისგან, პარტნიორებისგან, ან სხვა შესაბამისი პირისგან, რომელსაც აპლიკანტის საქმიანობის შესახებ ნათელი წარმოდგენა აქვს).
- მოცემულ მოთხოვნაზე თითოეულ აპლიკანტს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა.
- აპლიკანტებმა უნდა წარმოაჩინონ გამართული ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნიკური მენეჯმენტი, პოლიტიკისა და პროცედურების კუთხით. ასევე წარმოადგინონ არსებული შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ასრულებს აქტივების დამცავი მექანიზმის როლს, უზრუნველყოფს მათ დაცვას თაღლითობისგან, გაფლანგვისა და ბოროტად გამოყენებისგან; მხარს დაუჭერს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. ზემოხსენებული უნარები შეფასდება ზრდა პროექტის მიერ გრანტის გაცემამდე.
- გრანტის მიღებამდე, აპლიკანტებმა ხელი უნდა მოაწერონ ამ მოთხოვნას თანდართულ მოწმობებს (**დანართი C**) და ზრდა პროექტი განიხილავს მათ წარმოდგენილ აპლიკაციებთან ერთად.
- ამ მოთხოვნის საფუძველზე გაცემული ნებისმიერი ისეთი გრანტის შემთხვევაში, რომელიც არ არის წარმოდგენილი ნატურით და/ან შეადგენს ან აჭარბებს 25 000 ამერიკულ დოლარს, გრანტის მიმღებ პირებს მოეთხოვებათ, რომ საგრანტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტამდე წარმოადგინონ მონაცემთა უნივერსალური ნუმერაციის სისტემით (DUNS) მინიჭებული ნომერი. თუ აპლიკანტს აქვს DUNS ნომერი, ის უნდა მითითებულ იქნას განაცხადში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტები ვალდებული არიან, აიღონ ნომერი გრანტის მიღების მომენტამდე. *ზრდა პროექტი* დაეხმარება წარმატებულ აპლიკანტებს DUNS



ნომრის მიღების პროცესში. ამ ნომრის მიღება შესაძლებელია ინტერნეტით შემდეგ ვებ გვერდზე: <http://fedgov.dnb.com/webform/pages/CCRSearch.jsp>

- წარმატებული აპლიკანტი იმუშავებს ზრდა პროექტის მარკირების და ბრენდინგის გეგმის შესაბამისად. ზემოხსენებული გეგმა დართული იქნება საგრანტო ხელშეკრულებაზე.

## ნაწილი IV – განაცხადის შევსება და წარდგენა

### IVA. ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სტრატეგიები IC პუნქტში აღწერილი პროგრამის განსახორციელებლად, მათ შორის ინოვაციური მიდგომები, რომლებიც შეესაბამება მათი ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს.

#### IVA1. აპლიკანტის თვითშეფასება

გრანტის მიმღებ ყველა ორგანიზაცია გაივლის წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცედურას, რომელიც ჩატარდება ზრდა პროექტის მიერ. ამ პროცედურის მიზანია იმის დადგენა, აქვს თუ არა ორგანიზაციას ის მინიმალური შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია აშშ სამთავრობო სახსრების განკარგვისთვის. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმის შევსება არის პირველი ეტაპი წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცესში. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა მოცემულია ამ მოთხოვნას თანდართულ დოკუმენტში (**დანართი B**).

აპლიკანტებს, რომელთა განაცხადები სრულადაა შევსებული და აკმაყოფილებს ან აჭარბებს შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმებს, მომდევნო ეტაპების შესახებ ეცნობებათ განაცხადის განხილვის პროცესში.

#### IVA2. საგრანტო განაცხადი

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საგრანტო განაცხადი. განაცხადის ფორმა თან ახლავს ამ მოთხოვნას (**დანართი A**).

განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს აპლიკანტის უფლებამოსილი პირის მიერ.

#### IVA3. ხარჯები, რომლებიც არ ანაზღაურდება ზრდა პროექტის მიერ:

ზრდა პროექტის გრანტის ფარგლებში მიღებული სახსრები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობებისთვის:

- მშენებლობა ან ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული საქმიანობა. მშენებლობა ასევე მოიცავს სარემონტო სამუშაოებს, რეკონსტრუქციას, გადაკეთებას და აღდგენის ხარჯებს.
- ცერემონიების, საღამოების, დღესასწაულების ან წარმომადგენლობითი ხარჯები.
- შეზღუდული საქონლის შესყიდვები, როგორცაა: შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ავტომობილები მათ შორის მოტოციკლები, ფარმაცევტული პრეპარატები, სამედიცინო მოწყობილობები, კონტრაცეპტივები, მეორადი აღჭურვილობა; ზრდა პროექტის წინასწარი ნებართვის გარეშე მოპოვებულ, ან აკრძალული საქონელი, აკრძალული





საქონელი USAID რეგულაციების თანახმად, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი: აბორტის მოწყობილობა და მომსახურებები, ფუფუნების საგნები და სხვა.

- ალკოჰოლური სასმელები.
- იმ საქონლის ან მომსახურებების შესყიდვა, რომელიც იზღუდება ან იკრძალება USAID წყარო / წარმოების ადგილი მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, (ბირმა (მიანმა), კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, (ჩრდილოეთ) სუდანი და სირია).
- ნებისმიერი შესყიდვა ან საქმიანობა, რომელიც უკვე განხორციელებულია.
- შესყიდვები ან საქმიანობები, რომელთა შესრულება არ ემსახურება ზრდა პროექტის გრანტით განსაზღვრულ მიზნებს.
- გრანტის მიმღების წინა (გრანტის მიღებამდე) ვალდებულებები და/ან ვალები, საურავები და პირგასამტეხლოები.
- შემოწირულობების ფონდების შექმნა.

### **IVB. განაცხადის წარდგენა**

განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე და მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს. უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე წარდგენილ განაცხადებს.

განაცხადების წარდგენა/ჩაბარება შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge) ან ბეჭდური ფორმით ზრდა პროექტის ოფისებში, შემდეგ მისამართებზე:

- თბილისი, რამიშვილის ქუჩა #9, I ჩიხი, 3-4 სართული, 0179
- ზუგდიდი, რ. ლალიძის ქუჩა #3 (საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი “აფხაზეთის” ოფისი)
- ახალციხე, გვარამიძის ქუჩა #21, ახალციხე (ზრდა პროექტის ოფისი)

განაცხადში აუცილებლად უნდა მიეთითოს მოთხოვნის (RFA) # **045-3002-001-S-2018**.

განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2018 წლის 2 აპრილისა, 18:00 სთ.

დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.



## ნაწილი V. განაცხადის შეფასება

### VA1. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

სრული განაცხადები შეფასდება კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მითითებულია ქვემოთ ცხრილში:

შეფასების კატეგორია	შეფასება (ქულა)
პროექტის მიზანშეწონილობა და ტექნიკური მიდგომა	20
მართვის და განხორციელების შესაძლებლობა	20
მდგრადობა და ფინანსური თვითმყოფადობა	25
ხარჯების ეფექტურობა	15
წარსული გამოცდილება	20
<b>საბოლოო შეფასება (100 ქულიდან)</b>	<b>100</b>

### ნაწილი VI. ინფორმაცია გრანტის მიღებისა და ადმინისტრირების შესახებ

ყველა გრანტი ექვემდებარება საბოლოო მოლაპარაკებას, დაითვლება და გაიცემა **ქართულ ლარში**.

გრანტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი უნდა იყოს დასაშვები, დათვლადი და გონივრული/მიზანშეწონილი.

წინამდებარე მოთხოვნის გამოქვეყნება და განაცხადის შევსების პროცესში დახმარება არ გულისხმობს ზრდა პროექტის მიერ გრანტის გაცემას ან არ ავალდებულებს მას აპლიკანტების მიერ განაცხადის მომზადებასა და წარდგენაში გაწეული ხარჯების დაფარვას. გარდა ამისა, ზრდა პროექტი უფლებას იტოვებს მიიღოს ან დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა მიღებული განაცხადი და უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები განმცხადებლებისაგან. აპლიკანტებს ეცნობებათ მათი განაცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.